

**ინფორმაცია შპს „გეო ენერჯი“-ს ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 25 მაისის N21/3939 წერილში მოცემულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ**

NN	შენიშვნის შინაარსი	ინფორმაცია რეაგირების შესახებ
1	<p>საპროექტო ტერიტორია (ს/კ 01.18.13.033.139) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მიხედვით, სამრეწველო ზონა 1-ში (ს-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. ვინაიდან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასება უტარდება იმ საქმიანობას, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე, აღნიშნულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელება საჭიროებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას, მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.13.033.139) ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის სამრეწველო ზონა 2 (ს-2)-ით ცვლილების შესახებ;</p>	<p>საწარმოს მოსაწყობად გათვალისწინებულ ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლების თაობაზე პროცედურა დაწყებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და შესაბამისი გადაწყვეტილება ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.</p>
2	<p>გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი საპროექტო საწარმოს გენერალურ გეგმაზე არ არის დატანილი წიდის განთავსების უბანი, ხოლო დატანილი ობიექტები სრულყოფილად არ არის მითითებული ექსპლიკაციაში და წარმოდგენილია დაბალი რეზოლუციით, რაც საჭიროებს კორექტირებას. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს გენ-გეგმაზე დატანილი საკონტეინერო ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია;</p>	<p><b>გათვალისწინებულია:</b></p> <p>როგორც გზშ-ს ანგარიშის მოცემული, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წიდის ტერიტორიაზე დასაწყობება გათვალისწინებული არ არის. წიდის ჩამოსხმა მოხდება 100 x 80 x 20 ზომის სპეციალურ კონტეინერებში და დროებით დასაწყობდება საწარმოო შენობაში გამოყოფილ უბანზე). საწარმოო შენობიდან წიდის გატანა მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე, 2 დღეში</p>

		<p>ერთხელ შპს „გრუპი“-ს ტერიტორიაზე, შემდგომი გამოყენების მიზნით.</p> <p>საწარმოს ტერიტორიის და საწარმოო პარაგრაფი 4.2.</p> <p>რაც შეეხება გენგეგმაზე დატანილ საკონტეინერო ტერიტორიებს, როგორც გზშ-ს ანგარიშის 4.2. პარაგრაფშია მოცემული „ეზოს ტერიტორია გამოყენებული იქნება მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი კონტეინერების განსაზღვრულად“. კონტეინერებში ბიგბეგებში დაფასოებული მზა პროდუქციის ჩატვირთვა მოხდება პროდუქციის საწყობთან არსებული ბაქნიდან და სარკინიგზო ტრანსპორტით გაიგზავნება საზღვაო ნავსადგურებში საერთაშორისო ბაზარზე რეალიზაციის მიზნით.</p>
3	<p>გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ღუმელისა და მისი დანადგარების გაგრილებისთვის წყლის გამაციებლის სიმძლავრე შეადგენს 180 მ³/სთ-ს, ხოლო წყლის დანაკარგი 20 მ³/სთ-ს. ამასთან, მოცემული გაანგარიშების მიხედვით, გამაციებელი სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა იქნება: <math>20 \times 365 + 180 = 7\,480</math> მ³/წელ“. ვინაიდან, დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმო იმუშავებს წელიწადში 365 დღე, 24 საათიანი რეჟიმით, ხოლო გამაგრილებელი სისტემისთვის წყლის საჭირო რაოდენობა დაანგარიშებულია გამაციებელი სისტემის დღეში მხოლოდ 1 საათიანი მუშაობის შემთხვევაში, დაზუსტებას საჭიროებს დღეში რამდენი საათი იმუშავებს ღუმელისა და მისი დანადგარების გამაგრილებელი სისტემა;</p>	<p><b>გათვალისწინებულია:</b></p> <p>გზშ-ს ანგარიშის 4.2.4. პარაგრაფში გაპარული იყო უზუსტობა, კერძოდ: ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში წყლის დანაკარგი ნაცვლად 20 მ³/დღე-სა მითითებული იყო 20 მ³/სთ. რაც შეეხება წლის განმავლობაში გამოყენებული წყლის რაოდენობას გაანგარიშებულია მართებულიად.</p> <p>უზუსტობა შესწორებულია იხილეთ პარაგრაფი 4.2.4.</p>
4	<p>გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ 4.2.6 ქვეთავში აღნიშნულია, რომ მშენებლობის ეტაპზე დასაქმებული პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 20, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე 30 ადამიანს.</p> <p>ამასთან, გზშ-ის ანგარიშის სხვადასხვა თავებში მითითებულია, რომ საწარმოს მოწყობის ეტაპზე დასაქმებულთა რაოდენობა იქნება დაახლოებით 30, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე 104 ადამიანი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა.</p>	<p><b>გათვალისწინებულია:</b></p> <p>იხილეთ გზშ-ს ანგარიში, პარაგრაფი 4.2.6. და პარაგრაფი 4.4.</p>

	ხოლო აღნიშნულის შესაბამისად სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის, სამეურნეო-ფეკალური წყლისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;	
5	წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ საწარმოში გათვალისწინებულია უწყვეტი მონიტორინგის სისტემის დამონტაჟება, თუმცა დოკუმენტი არ მოიცავს თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოს შესახებ ინფორმაციას, რაც საჭიროებს დაზუსტებას;	<b>გათვალისწინებულია:</b> იხილეთ პარაგრაფი 4.2.2.
6	გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნედლეულის და მზა პროდუქციის სანაყაროები, ასევე წიდის კონტეინერები განთავსებული იქნება საწარმოო შენობის ფარგლებში (ქვეთავი 4.2). ასევე ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე, ღია სივრცეში ნაყარი მასალების (ნედლეული, მზა პროდუქცია და ნარჩენები (წიდა)) დასაწყობება გათვალისწინებული არ არის. ხოლო 4.2.6.2 ქვეთავში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, ნედლეულის და წიდის სანაყაროების მოედნების პერიმეტრზე მოწყობილი იქნება წყალამრიდი არხები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ატმოსფერული წყლებით ნაყარი მასალების გამორეცხვის რისკებს. დაზუსტებას საჭიროებს წიდის სანაყაროების მოწყობის, ასევე სანაყაროების მოედნების პერიმეტრზე სანიაღვრე წყალამრიდი არხების მოწყობის საკითხები;	<b>გათვალისწინებულია:</b> როგორც 4.2. პარაგრაფშია მოცემული, ნედლეულის, მზა პროდუქციის და ნარჩენების (წიდა და მტვერი) დასაწყობება გათვალისწინებულია საწარმოო შენობაში ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ უბნებზე. გზშ-ს ანგარიშის 4.2.6.2. პარაგრაფში შეტანილია შესაბამისი ცვლილება.
7	გზშ-ის ანგარიშის სხვადასხვა თავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, საწარმოში დაგეგმილი 0.97 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელის ფუნქციონირება, რომლის წარმადობაც <b>დღე-ღამეში შეადგენს 23.28 ტ, ხოლო წელიწადში 8400 ტონას</b> . ამასთან, საწარმო იმუშავებს წელიწადში 365 დღის (8760 საათი) განმავლობაში 24 საათიანი რეჟიმით. დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია წარმოებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ, ვინაიდან, საწარმოს სამუშაო რეჟიმისა და დანადგარის დღიური წარმადობის გათვალისწინებით, წლიური წარმადობა შეადგენს 8497 ტონას;	<b>გათვალისწინებულია:</b> იხილეთ გზშ-ს ანგარიშის შესაბამისი პარაგრაფები.
8	გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 196 მეტრში, თუმცა საწარმოს მოწყობის ეტაპზე ხმაურის გავრცელება ქვეთავში (6.4.1.1) აღნიშნულია, რომ „დაგეგმილი საწარმოს საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი გვხდება ჩრდილო-აღმოსავლეთით, <b>დაახლოებით 230 მ-ის</b> დაშორებით,“ ხოლო საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელება ქვეთავში (6.4.1.2) მოცემული ინფორმაციის თანახმად, „საწარმოს საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი გვხდება ჩრდილო-აღმოსავლეთით, <b>დაახლოებით 400 მ-ის</b> დაშორებით.“	<b>გათვალისწინებულია:</b> გზშ-ს ანგარიშის 6.4.1.1. პარაგრაფში ხმაურის გავრცელების დონეებს გაანგარიშება შესრულებულია საწარმოო შენობიდან 196 მ-ით დაცილების გათვალისწინებით.  როგორც გზშ-ს ანგარიშშია მოცემული, საწარმოს ეზოს ტერიტორიაზე მავნე ნივთიერებათა ემისიის და ხმაურის გავრცელების წყაროები განლაგებული არ იქნება და

	<p>გარდა ამისა, 6.4.2 ქვეთავში (ვიზრაციის გავრცელება) ასევე აღნიშნულია, რომ „საწარმო უახლოესი საცხოვრებელი ზონიდან დაცილებულია 230 მ-ით“. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 90 მ, ხოლო უშუალოდ საწარმოს შენობა-ნაგებობიდან 196 მეტრში. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს მოსახლესთან;</p>	<p>გაანგარიშებებისათვის აღებულია საწარმოო შენობიდან დაცილების მანძილები.</p>
9	<p>გზშ-ის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი - „საწარმოს წარმადობის (8400 ტ/წელ) გათვალისწინებით, საჭირო ნედლეულის საერთო რაოდენობა წლის განმავლობაში იქნება დაახლოებით 28 ათასი წელიწადში“ გაუგებარია და საჭიროებს კორექტირებას;</p>	<p><b>გათვალისწინებულია:</b></p> <p>როგორც გზშ-ს ანგარიშის 4.2.1. პარაგრაფშია მოცემული 1 ტონა სილიკომანგანუმის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის (კაზმის) რაოდენობა შეადგენს 3.337 ტონას, რაც 8400 ტონა მზა პროდუქციაზე იქნება 28 039 ტონა ნედლეული. გზშ-ს ანგარიშში საწარმოს წარმადობა და გამოყენებული ნედლეულის რაოდენობა აღებული იყო დამრგვალებული ციფრებით, რადგან საწარმო წლის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში ვერ იფუნქციონირებს.</p> <p>წინამდებარე ცხრილის მე-7 პუნქტში მოცემული შენიშვნის გათვალისწინებით, რადგან დაზუსტებული წარმადობა იქნება 8497 ტ/წელ. გამოყენებული ნედლეულის რაოდენობა იქნება 28 354 ტ/წელ.</p>
10	<p>გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია დაახლოებით 16800 ტ/წელ წიდის (10 08 09) და 2800 ტ/წელ მტვერდამჭერი ფილტრებიდან მიღებული მტვერის (კოდით 10 08 15* ან 10 08 16) წარმოქმნა.</p> <p>ამასთან, ნარჩენების სახეობები და მიახლოებითი რაოდენობების ცხრილში (12.4.4.1.) მოცემული ერთ-ერთი ნარჩენის - გამონაბოლქვი აირების მტვერი, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს (10 08 15*) წლების მიხედვით მიახლოებითი რაოდენობის ყველა გრაფაში მითითებულია 0 ტონა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს 10 08 15* კოდით განსაზღვრული ნარჩენების წარმოქმნის საკითხი;</p>	<p><b>გათვალისწინებულია:</b></p> <p>როგორც გზშ-ს ანგარიშის 6.6.4. პარაგრაფშია მოცემული საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ ჩატარდება საწარმოო ნარჩენების (წიდა და მტვერი) ლაბორატორიული კვლევა და მათი შემდგომი მართვა მოხდება კვლევის შედეგების მიხედვით.</p> <p>სხვა ანალოგიური პროფილის საწარმოების ნარჩენების კვლევის შედეგების მიხედვით, სილიკომანგანუმის წარმოების პროცესში წარმოქმნილი წიდა და მტვერი სახიფათო ნარჩენებს მიკუთვნებული არ არის.</p>

11	<p>გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე <b>განხორციელებულ იქნა სარეაბილიტაციო/რეკონსტრუქციის სამუშაოები</b>, კერძოდ: „აღდგენილია შენობის სახურავი და კედლები, იატაკი დაფარულია ბეტონის საფარით. შენობაში მოწყობილია ნედლეულის და მზა პროდუქციის დასაწყობების უბნები. სადნობი ღუმელის განთავსებისათვის აღმოსავლეთი მხარეს მოწყობილია მიშენება.“ ასევე, 4.2.1 ქვეთავში აღნიშნულია, რომ „5 ტ/სთ წარმადობის სამსხვრევი დანადგარი განთავსებულია საწარმოო შენობაში.“ ამასთან, 12.4.2 ქვეთავში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, <b>საწარმოო შენობაში გათვალისწინებულია</b> შემდეგი საწარმოო ინფრასტრუქტურის მოწყობა: ნედლეულის საწყობი; სასწორი; კაზმის ბუნკერები; სკიპი კაზმის მიწოდებისათვის; 7 მგვტ სიმძლავრის ელექტრორკალური ღუმელი; წიდის მიმღები ორმო; სამსხვრევი 5 ტ/სთ; ტრანსფორმატორი; ტექნიკური დანიშნულების წყლის რეზერვუარი; მექანიკური საამქრო; აირგამწმენდი უბანი; ლაბორატორია; მუშათა საყოფაცხოვრებო სათავსები; სამედიცინო პუნქტი; მზა პროდუქციის საწყობი.“ ასევე, 4.2.2 ქვეთავში მითითებულია, რომ „საწარმოო შენობაში დაგეგმილია 5 ტ/სთ წარმადობის სამსხვრევი დანადგარის მოწყობა.“ ხოლო გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს მშენებლობის ეტაპი გაგრძელდება 1 წლის განმავლობაში. სკოპინგის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ, საწარმოს ტერიტორიის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ფერომენადნობების საწარმოს ინფრასტრუქტურა/დანადგარები უკვე მოწყობილია, რაც დასტურდება სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2023 წლის 7 თებერვლის NDES 2 23 00007929 წერილით. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება/შესწავლისას დადგინდა, რომ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა საწარმოს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები, კერძოდ თითქმის დასრულებული იყო საწარმოს კორპუსისა და სათავსო შენობა-ნაგებობის მშენებლობა, მიმდინარეობდა წარმოებისთვის განკუთვნილი სადნობი ღუმელის და წყლის გამაცხელებლის სამონტაჟო სამუშაოები, რომლებიც ნიწილობრივ უკვე დამონტაჟებულია. ასევე, საწარმოს კორპუსის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული იყო აირმტვერნარევის გამწმენდი ფილტრების კარკასი. გარდა ამისა, ტერიტორიაზე დაფიქსირებულ იქნა საწარმოს მოსაწყობად გათვალისწინებული სხვა მასალები/მოწყობილობები. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია უკვე ჩატარებული და</p>	<p><b>გათვალისწინებულია:</b></p> <p>გზშ-ს შესაბამის პარაგრაფებში აღნიშნულია, რომ საწარმოში ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტექნოლოგიური დანადგარ მოწყობილობის და სხვა ინფრასტრუქტურის სამონტაჟო სამუშაოები.</p>
----	---	--

	დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ, ხოლო გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული რეალობის გათვალისწინებით;	
12	გზშ-ის ანგარიშის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის თანახმად, გაწმენდის ფილტრის გამოსავალზე აირმტვერნარევი მტვრის შემცველობა 30 მგ/მ <sup>3</sup> -ია, თუმცა გზშ-ის ანგარიშის 4.2.2 ქვეთავში მოცემულია სახელობიანი ფილტრის პარამეტრები, რომლის მიხედვით მტვრის კონცენტრაცია გაწმენდის შემდეგ იქნება არაუმეტეს 20 მგ/მ <sup>3</sup> . შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;	<b>გათვალისწინებულია:</b> საწარმოს აირმტვერდამჭერი სისტემის ფილტრი გამოსავალზე მტვრის შემცველობა შეადგენს 30 მგ/მ <sup>3</sup> -ს.
13	გარდა ამისა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასევე არ არის გათვალისწინებული სამინისტროს N1 სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ:	
13.1	გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი გენ-გეგმა ხმაურის ყველა წყაროს დატანით;	<b>გათვალისწინებულია:</b> იხილეთ პარაგრაფი 6.4.1.1. აღსანიშნავია, რომ ხმაურის გავრცელების ყველა სტაციონარული წყარო განთავსებული იქნება საწარმოო შენობაში.
13.2	დოკუმენტაცია არ მოიცავს ინფორმაციას საწარმოდან 500 მ რადიუსში არსებული საწარმოო ობიექტების ფუნქციური დატვირთვის შესახებ (მანძილების მითითებით);	<b>გათვალისწინებულია:</b> იხილეთ პარაგრაფი 4.1.
13.3	წიდის ორმო(ებ)ის და მისი ფუნქციური დატვირთვის შესახებ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით 9.1. ცხრილში აღნიშნულია, რომ პროექტის მიხედვით წიდის ორმოების მოწყობა გათვალისწინებული არ არის. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციაში განხილულია წიდის მიმდებარე ორმო, რაც საჭიროებს დაზუსტებას;	<b>გათვალისწინებულია:</b> გზშ-ს ანგარიშში მოცემულია, რომ წიდის ჩამოსხმა მოხდება კონტეინერებში და ბუნებრივი გზით გაგრილების შემდეგ, ყოველ მეორე დღეს შემდგომი გამოყენების მიზნით, გატანილი იქნება კონტრაქტორი კომპანიის მიერ.
13.4	გზშ-ის ანგარიშში არ არის გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხი - ინფორმაცია არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების შესახებ;	<b>გათვალისწინებულია:</b> არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების ღონისძიებების გეგმა თან ერთვის გზშ-ს ანგარიშს.

13.5	<p>გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების შესახებ, თუმცა არ არის წარმოდგენილი მოსახლეობის პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის გათვალისწინების და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია.</p>	<p>როგორც გზშ-ს ანგარიშის მე-9 პარაგრაფშია მოცემული გზშ-ს მომზადების ფაზაზე არაერთი შეხვედრა შედგა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან. შეხვედრების დროს მოსახლეობის ძირითადი დაინტერესება გამოიხატება ატმოსფერული ჰაერის ხარისხთან დაკავშირებით. გზშ-ს ანგარიშში მოცემული გაანგარიშებების და პროგრამული მოდელირების შედეგების მიხედვით საცხოვრებელი ზონის ტერიტორიაზე მავნე ნივთიერებების ზენორმატიული გავრცელება მოსალოდნელი არ არის. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია გაზიარებულია მოსახლეობასთან შეხვედრების დროს.</p>
------	--	---